



# წყარო და ინტერვიუ

©ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის სამხრეთ კავკასიის ბიურო  
თბილისი 2015

**შენიშვნა:** აქ ტერმინი „ინტერვიუ“ გამოიყენება გავრცობილი მნიშვნელობით, რაც გულისხმობს ოფიციალურ საუბარს ორ ან მეტ ადამიანს შორის, სადაც გამსაუბრებელი სვამს კითხვებს ფაქტების მიღებისა და განცხადების დაფიქსირების მიზნით რესპონდენტის მხრიდან.

უპირველეს ყოვლისა გადაწყვიტეთ, ვის უნდა აუღოთ ინტერვიუ

- **ნუ აყვებით პირველ რეაქციას**
  - კარგად დაფიქრდით, სანამ ტელეფონის ყურმილს აიღებთ
  - ბევრი ჟურნალისტი ავტომატურად ურეკავს ცნობილ ადამიანებს
  - ყოველი ამბის წერისას ხელახლა დაფიქრდით: ვინ შეიძლება ნამდვილად გაგცეთ პასუხი თქვენთვის საინტერესო ამბავთან დაკავშირებით
  - გაამდიდრეთ თქვენი სტატია/რეპორაჟი ახალი, ადგილობრივი ხმით
  - დაბალანსებულად შეუსაბამეთ თქვენს სარედაქციო დავალებას
- **კარგად გაიაზრეთ რატომ უღებთ ინტერვიუს ამ პიროვნებას**
  - ელოდებით კონკრეტული პასუხების მიღებას, მაგრამ
  - ნუ დაისახავთ მიზნად ერთი კონკრეტული პასუხის მიღებას
- **საუკეთესო წყაროს წარმოადგენს პირველადი წყარო (წყარო პირველი ხელიდან), რომელიც მზადაა დაასახელოს თავისი თავი.**
  - მოვლენის უშუალო მონაწილეები
  - მოვლენის დროს დაზარალებული პირი, მსხვერპლი
  - მოვლენის/ამბის მოწმე
  - გაესაუბრეთ ყველას და არა მხოლოდ ექსპერტებს
  - ნუ შეუშინდებით და შეურიგდებით საზოგადოებში არსებულ ტაბუებს და ღოგმებს შემდეგი საკითხების თაობაზე
    - ასაკი
    - უნიფორმა/პოლიტიკური პირი
    - სქესი
  - კონფლიქტის გაშუქებისას განსაზღვრეთ პრობლემები
    - შეგიძლიათ თუ არა გაესაუბროთ ორივე მხარეს

- მაგალითად: მაკედონიელ ჟურნალისტს ალბანელებისაგან კომენტარის მისაღებად როიტერსის გამოყენება უხდებოდა
- ითანამშრომლეთ „მეორე მხარის“ ჟურნალისტთან

- **მეორადი წყაროები**

- აზრი ეკარგება უკვე გამოქვეყნებული კომენტარების გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს კომენტარი არის ერთადერთი და ძალიან მნიშვნელოვან საკითხს ეხება
- ძალიან უსუსურია
- ჟურნალისტის სიზარმაცეზე მიუთებს

- **პრესრელიზები და პრესკონფერენციები უსარგებლოა**

- ყველა მედია საშუალებას ექნება ის მასალა, რაც თქვენ გაქვთ
- წყარო ცალმხრივია და ამბავი ისეა წარმოჩენილი როგორც ეს ერთ მხარეს სურს
- სიტუაცია კონტროლდება, თუმცა შესვენების დროს შესაძლებელია კარგი კომენტარის მოპოვება
- მხოლოდ ამ წყაროზე დაყრდნობა, ჟურნალისტის სიზარმაცის მაჩვენებელია

- **თქვენი უფლება ინფორმაციის მიღებაზე**

- უნდა იცოდეთ ინფორმაციის მოპოვების რა კანონიერი უფლებები გაგაჩნიათ თქვენ, როგორც მოქალაქეს
- უნდა იცნობდეთ თქვენი ქვეყნის კანონებს

## განსაზღვრეთ პოტენციური პრობლემები ყველა რესპოდენტთან

- **რატომ გეუბნებათ რესპოდენტი ამას?**

- რა მოტივი აქვს?
- ნუ იქნებით „ინფომათხოვარი“

- **საიდან იცის ის, რაც იცის?**

- რა შეხება აქვს რესპოდენტს ამ საკითხთან?
- არასწორ ინფორმაციას ხომ არ აწვდიან?
- არის თუ არა თანამდებობრივად უფლებამოსილი ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას?

- **რატომ ეს წყარო?**

- დავუკავშირდი იმიტომ, რომ გამიადვილდა?
- ხომ არ არის ვინმე უფრო ზემდგომი, უფრო საქმეში ჩახედული და მცოდნე, ვისაც მის მაგივრად დავუკავშირდებოდი?
- სარწმუნო იქნება თუ არა ეს წყარო მკითხველისთვის?

- **მეშინია ამ წყაროს დაკარგვის?**

- ახდენს ეს გავლენას ჩემს გახსნილობაზე?
- შემიძლია თუ არა ამ ინფორმაციის ჩემი შეხედულებისამებრ სხვაგან გამოყენება? (ვრცლად იხ. ქვემოთ)
- **რა ურთიერთობა მაქვს წყაროსთან?**
  - ზედმეტად მკაცრი ან რბილი ხომ არა ვარ?
  - ჩემს კოლეგას ხომ არ ვთხოვო ჩემ მაგივრად ინერვიუს აღება?
- **ამ წყაროსთვის რუპორის როლს ხომ არ ვასრულებ?**
  - ვინ დაეკონტაქტა ვის? თუ ის თქვენ მაშინ, ფრთხილად იყავით...
  - შემიძლია თუ არა დავაბალანსო ის ინფორმაცია, რაც ამ წყარომ მომაწოდა სხვა წყაროდან მოპოვებული მასალით?
- **ამბობს თუ არა რესპონდენტი სიმართლეს?**

## XXXX წყარო, როგორც ფაქტების გამოვლენის საშუალება

- არასოდეს გამოიყენოთ „ყველასათვის ცნობილია რომ“
  - თქვენი აუდიტორია შეიძლება იყოს საერთაშორისო და თქვენი ქვეყნის შესახებ ბევრი არაფერი იცოდეს
  - „ფაქტების“ გამყარებას შეძლებთ თუ სხვებს მოუსმენთ
- ოქროს წესი: გაამყარეთ ყველა ინფორმაცია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წყაროდან მოპოვებული ინფორმაციით
  - „ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი“ წყარო ნიშნავს
    - წყარო ა-ს ინფორმაცია არ გაუგია წყარო ბ-საგან და პირიქით
    - წყარო ა-ს და ბ-ს არ ჰყავთ ერთი და იგივე წყარო გ
  - დარწმუნდით რომ ორივე წყარო პირველადია
  - ნუ აღიარებთ ინფორმაციას „ფაქტად“ მანამ, სანამ ის „ორი წყაროს“ გადამოწმებას არ გაივლის
  - წინააღმდეგობრივი წყაროები...
    - ზოგჯერ ბუნდოვანია: წარმოადგინეთ ორივე მხარის პოზიცია და მკითხველს განუმარტეთ, რომ წყარო არ არის დაზუსტებული
    - ზოგჯერ წინააღმდეგობრივი ინფორმაცია თავად შეიცავს ამბავს, მაგ.:

„ შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ შეიარაღებულმა პირებმა გადმოკვეთეს საზღვარი კოსოვოს მხრიდან. თავდაცვის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ისინი შეიარაღებულები არ იყვნენ“.
  - ეს მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო კომენტარები თავად ქმნიან ამბავს: მთავრობა გახლეჩილია.

## XXXX "ორი წყაროს"წესი: ორი მაგალითი

**პირველი:**

**სიტუაცია:** ამბოხის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი გეუბნებათ, რომ სოფელ X-ში ამბოხებულებმა ცეცხლი გაუხსნეს პოლიციას, რის შედეგადაც ერთი პოლიციელი სერიოზულად დაშავდა. დაზარალებული პოლიციელი ადასტურებს ამ ამბავს. **მივიღო თუ არა ეს ამბავი ფაქტად? მონაწილეთა აზრები?**

**პრობლემა:** საეჭვოა, რომ ომის დროს ორმა ერთი და იმავე მხარის წარმომადგენელმა რაიმეს დადასტურება შეძლოს. იქნებ სამინისტროში ამ ამბის შესახებ სწორედ იმ პოლიციელისაგან შეიტყვეს? იქნებ ეს პოლიციის მხრიდან ერთგვარი ნაბიჯია ძალადობის გასამართლებლად?

**გამოსავალი:**

წადით სოფელ X-ში და გაესაუბრეთ მოწმეებს.

დაუკავშირდით სანდო ხალხს სოფელ X-ში და გაესაუბრეთ მოწმეებს.

დარეკეთ ადგილობრივ საავადმყოფოებში და გაიგეთ, ხომ არ მოუყვანიათ მათთან დაჭრილი პოლიციელი (გადაამოწმეთ ხომ არ იყო ეს თავისიანებს შორის გახსნილი ცეცხლი?)

იპოვეთ ფიზიკური სამხილები ადგილზე (სისხლი, ვაზნები და ა.შ.)

დაუკავშირდით თქვენს საკონტაქტო პირებს ამბოხებულთა შორის და გაიგეთ, რა იციან მათ ამ ინციდენტის შესახებ.

**მეორე:**

**სიტუაცია:** ორგანიზაცია ბოსტოგუს უფლებებისთვის ლიდერი თქვენთან ინტერვიუს დროს აცხადებს, რომ პოლიციაში დაკავების დროს მას მოკვლით ემუქრებნენ. BBC-მაც განაცხადა, რომ დაკავებულ ბოსტოგუს ლიდერს პოლიციაში მოკვლით ემუქრებოდნენ.

**მივიღოთ თუ არა ეს ამბავი ფაქტად? მონაწილეთა აზრები?**

**პრობლემა:** როგორც მეორადი წყარო, BBC ვერ იქნება ჩვენი „ორი წყაროდან“ ერთ-ერთი. იქნებ ეს ინფორმაცია მათაც ბოსტოგუს ლიდერმა მიაწოდა? ამბის დასადასტურებლად ჩვენ სხვა წყაროები გვესაჭიროება.

**პრობლემის გადაწყვეტა:**

გაესაუბრეთ პოლიციის ოფიციალურ წყაროებს.

გაესაუბრეთ ცალკეულ პოლიციელებს, იქნებ ვინმეს გაუჩნდეს სურვილი ანონიმურად დაგიდასტუროთ ის, რაც მოხდა.

გაესაუბრეთ ბოსტოგუს სხვა წევრებს. მათი ლიდერის მხრიდან ასეთ ბრალდებებს ხშირი ხასიათი ხომ არ აქვს? შენიშვნა: სხვა ბრალდებების არსებობა ამ კონკრეტული შემთხვევის დასადასტურებლად შეიძლება არ გამოგვადგეს, თუმცა უკვე რაღაცის მიმანიშნებელი იქნება.

## XXXX თუ ყველა წესს ვერ მიჰყვებით

- გამოიყენეთ განმარტებული წინადადებები და მიზანმიმართულად ბუნდოვანი განმსაზღვრელი ფრაზები
  - ნუ იტყვით „ეს მოხდა“ თქვით „X აცხადებს, რომ მოხდა ესა და ეს“
  - ნუ იტყვით "X-მა ჩაიდინა „Y“ თქვით "წყარო A აცხადებს, რომ X ჩაიდინა Y"
- **მაგალითად:**

იმ საათებში, როცა ამერიკული და ბრიტანული ჯარები თავდასხმისთვის ემზადებოდნენ, ტაჯიკეთის საზღვართან ახლოს, ნატოს არტილერია თალიბანის მეომრებს ებრძოდა. კაპიტანი ტილო მუჰამედის განცხადებით, ის ბედნიერი იყო, რომ ქაბულის რეჟიმის ძალები მალე განადგურდებოდა. „ჩვენ მათ დიდი ხანია ვებრძვიტ“- ამბობს ის,- „ახლა კი, ისინი უკვე დასუსტდნენ“. კაპიტან მუჰამედის განცხადებით, მულა ომარის დანაყოფები ამ ბოლო დროს ძალიან დასუსტდა, რადგანაც ბევრმა პაკისტანელმა და არაბმა მებრძოლმა დატოვა ფრონტის ხაზი. ამ განცხადებების დადასტურება შეუძლებელი იყო“.

სტატიის ბოლოს ვკითხულობთ „ამ განცხადებების დადასტურება შეუძლებელი იყო“, ამით ავტორმა დაუფარავად გაანდო მკითხველს თავისი პოზიცია; მან ღიად განაცხადა, რომ ინფორმაცია დადასტურებული არ არის.

- **გამოიყენეთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში**
  - ძალიან ბევრჯერ ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორებიცაა „კომენტარი დაუზუსტებელია“ და „აცხადებს“ უსუსურად გამოიყურება
- დარწმუნდით, რომ წყარო გაწვდით აუცილებელ ინფორმაციას
- ეს ნამდვილად არ არის ხუმრობა: თქვენ მკითხველთან გულწრფელი უნდა იყოთ
- რჩევა: „აცხადებს/აბრალებს“ გამოყენება ვერ აგარიდებთ შესაძლო სასამართლო პროცესს ცილისწამებასთან დაკავშირებით

## XXXX ანონიმური წყაროების გამოყენება

- **ყოველთვის დასვით შეკითხვა, რისთვის სჭირდება წყაროს ანონიმურად დარჩენა?**
  - ავტომატურად ნუ დაეთანხმებით ანონიმურობაზე
  - ხომ არ გიყენებთ?
  - თქვენს ზურგს უკან ხომ არ იმალება?
  - ანონიმურობა გამართლებულია ეთიკური მიზეზებით
  - სხვა მიზეზები გაუმართლებელია
- **თუ ის ანონიმურია...**
  - შეუთანხმდით მას, რომ მოახდენთ წყაროს იდენტიფიცირებას მაქსიმალურად დეტალურად
  - „კოსოვოში ეუთოს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში“ უკეთ ჟღერს, ვიდრე უბრალოდ „ეუთოს წარმომადგენელი“
  - თუ წყარო ანონიმურია, მკითხველმა ეს უნდა იცოდეს
- **შეხედულება ფაქტის პირისპირ.**
  - ავტორიტეტული დასახელებული წყაროების (როგორცაა არმიის გენერალი ან ელჩი) ციტირება, თუნდაც ერთი შეხედვით უჩვეულო მოსაზრების შესახებ, უნდა მოხდეს თავისუფლად.
  - დაუშვებელია დაუსახელებელი წყაროს გამოყენება ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რომელზეც ის (წყარო) არ არის უფლებამოსილია გააკეთოს კომენტარი.
  - მაგალითად, არ შეიძლება უზბეკმა მაღალჩინოსანმა ანონიმურად გააკეთოს განცხადება იმის თაობაზე, რომ ყაზახები არიან თაღლითების დაჯგუფება ან პირიქით
  - დაიმახსოვრეთ: დაასახელეთ პიროვნება და გადმოეცით მოსაზრება.

## XXXX წყაროს დაცვა

- **ამ უფლებას ყველა ქვეყნის საკანონმდებლო სისტემა არ აღიარებს**
  - ის უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი
  - აშშ და ავსტრალიაში ჟურნალისტებს დროთა განმავლობაში ამის გამო აპატიმრებენ კიდევ.
- **ევროპა**

ევროსაბჭოს კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ კონკრეტულად არ ეხება ამ საკითხს, მაგრამ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ ქვეყნებს, აღიარონ ჟურნალისტის უფლება, არ გაამჟღავნოს თავისი ინფორმაციური წყარო ადამიანის უფლებათა შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ეხება.

- IWPR, რასაკვირველია განიხილავს ამ საკითხს როგორც ჟურნალისტის უფლებას, თუმცა ძნელია ამის საერთაშორისო სტანდარტად დამკვიდრება
- უნდა იცნობდეთ თქვენს ქვეყანაში მოქმედ კანონებს.

## XXXX სასარგებლო რჩევები ინტერვიუს აღებასთან დაკავშირებით

- **ძალიან მნიშვნელოვანია ინტერვიუს აღებამდე კარგად მოემზადოთ**
  - უნდა იცნობდეთ იმ ტერმინოლოგიას და აბრევიატურებს, რომლებსაც რესპონდენტი შესაძლოა საუბარში იყენებდეს
  - უნდა იცნობდეთ იმ ხალხს, ვის შესახებაც რესპონდენტმა შესაძლოა ისაუბროს
  - გაეცანით ამ ადამიანის ადრინდელ ინტერვიუებს
  - გაესაუბრეთ თქვენს კოლეგებს მათი ამ პიროვნებასთან მანამდე აღებული ინტერვიუების თაობაზე
  - მომზადება დაგიზოგავთ ინტერვიუს დროს
  - ჩამოწერეთ შეკითხვები, თუმცა მზად იყავით, თუ საუბარი სხვა მიმართულებით წარიმართება
- **ინტერვიუს დაწყება**
  - მიდით დროზე ან რამდენიმე წუთით ადრე
  - ნუ აჩქარდებით- ინტერვიუს დაწყებამდე მცირე საუბარი თქვენს თავზიანობასაც წარმოაჩენს და რესპონდენტსაც უფრო დაამშვიდებს
  - წინასწარ დააზუსტეთ პირადი მონაცემები:
    - თარიღი
    - ადგილი
    - სახელი
    - სახელწოდება
    - დაწესებულება/ორგანიზაცია
- **უბრალო თავაზიანობა: სამართლიანი, მაგრამ მტკიცე**
  - რესპონდენტს აქვს უფლება იცოდეს, რის შესახებ იქნება თქვენი სტატია და სად გამოიყენება მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია
  - თუ რესპონდენტი არ არის კარგად გათვითცნობიერებული მედია საკითხებში, აუხსენით მას რას ნიშნავს ტერმინი „ოფიციალური კომენტარი“
  - წინასწარ აუხსენით რედაქტირების შესახებ:
  - რომ მისი საუბარი არ დაიბეჭდება სიტყვა-სიტყვით
  - სივრცის დაზოგვის მიზნით ზოგიერთი რამ შეიძლება დარედაქტირდეს (აზრის შეცვლის გარეშე)
- **შეთანხმება**
  - დაამკვიდრეთ პრაქტიკაში რომ რესპონდენტი იქნება დასახელებული წყარო, თუ ეს რა თქმა უნდა შესაძლებელია



- აცნობეთ მას, რომ ყველაფერი რასაც ის იტყვის ჩაითვლება ოფიციალურ კომენტარად, თუ რაიმე სხვა სახის შეთანხმებას არ ჰქონია ადგილი-ეს ისედაც გასაგები უნდა იყოს თქვენი წარდგენისათანავე, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში შეხსენება ღირს.
  - იმ შემთხვევაში, თუ კომენტარი არაოფიციალური იქნება შეთანხმდით რა განსაზღვრებას გამოიყენებთ მისთვის: „კოსოვოში ეუთოს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში“ უკეთესია ვიდრე „ეუთოს წარმომადგენელი“
  - მაგრამ ნუ გაურიგდებით რესპონდენტს, რომ მას ექნება რამენაირი „უფლება“ თქვენს სტატიაზე.
- **იყავით ფოკუსირებული**
    - ინტერვიუზე თქვენ მიდიხართ ინფორმაციის მისაღებად კონკრეტულ ამბავთან დაკავშირებით
    - მართეთ რესპონდენტი თქვენი ინერესების დასაცავად და არა პირიქით
  - დაუსვით პირდაპირი/მოკლე შეკითხვები
    - ინტერვიუს დროს რესპონდენტთან თქვენი მოსაზრებების გამოთქმისაგან თავი შეიკავეთ
    - შეკითხვას ნუ გაუკეთებთ შესავალს თქვენი კომენტარის სახით
  - **ნუ შეხედავთ თქვენს რესპონდენტს ზემოდან**
    - იმის გამო, რომ ადამიანები არ არიან „ექსპერტები“ არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ მნიშვნელოვანი რამის თქმა.
  - **ნუ შეუშინდებით და ნუ შეურიგდებით საზოგადოებაში არსებული ტაბუებს და დოგმებს** შემდეგ საკითხებთან მიმართებაში
    - ასაკი, უფროსებისადმი პატივისცემა
    - უნიფორმა/პოლიტიკური პირი
    - სქესი
  - **მთავარი პასუხი-მნიშვნელოვანი რამ გახდა ცნობილი**
    - ნუ დაიწყებთ ყველაფრის საჩქაროდ მიყოლებით ჩაწერას, ამან შეიძლება თქვენი რესპონდენტი დააფრთხოს და გააჩუმოს
    - დაელოდეთ, მოუსმინეთ
    - შემდეგ დაუსვით რაიმე უბრალო შეკითხვა მისი ოჯახის შესახებ
    - და სანამ ის ამ კითხვაზე გპასუხობთ, ჩაიწერეთ ის მთავარი პასუხი, რომელიც თქვენ მიერ დასმულ მნიშვნელოვან შეკითხვაზე მიიღეთ
  - **აალაპარაკეთ /გახსენით რესპონდენტი**
    - დაუსვით ღია ტიპის შეკითხვები
    - არა „გიყვართ შოკოლადი?“
    - არამედ „რატომ გიყვართ შოკოლადი?“
    - ხშირად მიმართეთ სახელით
    - გამოიყენეთ სარკის ეფექტი

- გაიმეორეთ რესპონდენტის მიერ ნათქვამი წინადადების ბოლო რამდენიმე სიტყვა
- ეს რესპონდენტს გაამხნევეს და ის უფრო გაიხსნება საუბრისთვის
- **ყველაზე მძიმე შეკითხვები ბოლოსთვის შემოინახეთ**
  - მარტივი შეკითხვები რესპონდენტს სიმხნევეს მატებს (განსაკუთრებით, თუ საქმე გვაქვს ისეთ პიროვნებასთან, რომელიც მიუჩვეველია მედიასთან ურთიერთობას)
  - რესპონდენტმა შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ინტერვიუ
  - სასურველია დასვათ უფრო რთული შეკითხვები მოთელვის/გახურების შემდეგ
- **ბოლოს ჰკითხეთ, სხვა რამის თქმას ხომ არ ისურვებდა**
  - არასოდეს იცი...

## XXXX პრობლემები, რომლებიც შეიძლება შეიქმნას ინტერვიუს დროს

- მოკლე, აზრს მოკლებული პასუხები
  - ზოგჯერ რესპონდენტი რომელიმე კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში მოკლე პასუხებს იძლევა ან საერთოდ არ ლაპარაკობს
  - ამის საპასუხოდ კარგი იქნება თუ რესპონდენტს თვალს არ მოვაცილებთ და უბრალოდ დაველოდებით
  - შექმნილმა დისკომფორტმა შეიძლება ის უფრო ალაპარაკოს
- გაწეილი საუბარი პასუხის სანაცვლოდ
  - ზოგჯერ რესპონდენტს განზრახ გაჰყავს დრო და იმის მაგივრად, რომ პასუხი გაგცეთ გრძელ სიტყვას წარმოთქვამს
  - შეეცადეთ თავაზიანად შეაწყვეტიოთ საუბარი და შეკითხვისკენ მოაბრუნოთ
  - გაუმეორეთ შეკითხვა
  - პერეფრაზირება გაუკეთეთ შეკითხვას
  - თუ ამანაც არ გაჭრა, მაშინ სხეულის ენის ან სხვა ხერხის გამოყენებით მიანიშნეთ რესპონდენტს, რომ ეს თემა უინტერესოა
    - თუ წერდით უცებ შეწყვიტეთ წერა და კალამი დადეთ
    - გააჩოჩეთ სკამი ისე, რომ ეს თვალში საცემი იყოს
- გთხოვენ შეკითხვების წინასწარ გაგზავნას
  - ეცადეთ თავი აარიდოთ ამას
  - მოულოდნელად „დაადეგით თავზე“
  - შექმნით ინტერვიუს დროს არაფორმალური გარემო
  - თავი მოაჩვენეთ, რომ არ ლაპარაკობთ--გაადვივით რესპონდენტის ეგო
  - აგრძნობინეთ, რომ „ის თავისუფალია თქვენი მართულობისგან“ - აუხსენით, რომ ეს არის მისი საუკეთესო შანსი პირდაპირი გზით ესაუბროს ხალხს

## XXXX პრობლემები ინტერვიუს შემდეგ

- **როგორ დავანაწევროთ კომენტარები**
  - ეცადეთ არ დავანაწევროთ წინადადებები, თუ ისინი საკმარისად მოკლეა
  - უფრო გრძელი კომენტარები შეგიძლიათ დაარედაქტიროთ ისეთ ზომამდე, რომ აზრი არ დაიკარგოს.
- **ზეწოლა სტატიაზე „უფლებისათვის“**
  - ზოგჯერ რესპონდენს უნდა სტატიის ნახვა პუბლიკაციამდე
  - ეს არ არის ფაქტების გადამოწმება
  - თუ ამით ხდება რაღაც ტექნიკური დეტალების დაზუსტება, ეს დასაშვებია
  - ხშირად აუცილებელიცაა მეცნიერებთან და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან
  - ეს ის საკითხია, რომელსაც წინასწარ არ უნდა დაჰპირდეთ რესპონდენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში ზეწოლას ვერ გაუძლებთ
  - თუ გრძნობთ, რომ სხვა გამოსავალი არა გაქვთ, აჩვენეთ რესპონდენტს მხოლოდ მისი კომენტარები და არა მთლიანი სტატია
  - ყველაზე საუკეთესო სტრატეგიას წარმოადგენს ის, რომ თავიდანვე არა მხოლოდ არ შეჰპირდებით, არამედ არც მოიაზრებთ ამ თემის განხილვას რესპონდენტთან
- **რა საშუალებები გამოვიყენოთ ამბის გასავერცოზად?**
  - ხშირად ამართლებს, როცა ანონიმური წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას წარუდგენთ სხვა რომელიმე პოტენციურ წყაროს და შეხედავთ, თუ ის შეძლებს მის დადასტურებას, მაშინ შეგიძლიათ კომენტარს ამ ადამიანის სახელი მიუთითოთ.
  - ნუ გააგებინებთ ყველაფერს ერთბაშად, თავიდან ინფორმაცია მცირე დოზით მიაწოდეთ და ნახეთ რისი თქმა შეუძლია ამ ამბის შესახებ. დიდი თევზის დასაჭერად გამოიყენეთ პატარა სატყუარა თევზი.
  - ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღებით მოსმენა:
  - აცნობეთ რესპონდენტს იმ ფაქტის შესახებ, რაც თქვენ იცით და დაელოდეთ პასუხს
  - დაელოდეთ და მოუსმინეთ
  - კიდევ დაელოდეთ, თუ საჭიროა შეუქმენით რესპონდენტს ცოტაოდენი დისკომფორტიც
  - ასე უფრო მეტი ინფორმაციის გაგებას შეძლებთ, რადგან რესპონდენტი იფიქრებს რომ თქვენ უფრო მეტი იცით, ვიდრე ამას ამჟღავნებთ და თავის დაცვას მოინდომებს
  - დაამუშავეთ რაც შეიძლება მეტ წყარო, რათა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვოთ
  - თუმცა ფრთხილად იყავით, არ დაარღვიოთ მათი კონფიდენციალურობა. ნუ გაამჟღავნებთ წყარო „ა“-ს წყარო „ბ“-სთან.

## XXXX წესები რომელთა ხელმძღვანელობით უნდა იცხოვრო

- **გამოდი ოფისიდან, გამოდი კაფედან**
  - ოთახიდან გაუსვლელად ბევრ ამბავს ვერ გაიგებ
  - პირველი ხელიდან გაშუქებას ვერაფერი ჩაანაცვლებს
- **რაც უფრო ბევრ ადამიანს გაესაუბრებით, მით უფრო უკეთესი ამბავი გამოგივათ**
- **თქვენს რესპონდენტს არ უნდა ეუცნაუროს თავისი კომენტარის ნაბეჭდი სახით ნახვა**
  - დაბეჭდილი სიტყვა უფრო ძლიერია, ვიდრე ზეპირი კომენტარი
  - ნდობის ფაქტორია
- **მოსმენის უნარი თქვენი, როგორც ჟურნალისტის მთავარი უნარია**
  - მოუსმინეთ, რას ამბობს ხალხი
  - მოუსმინეთ, თუ როგორ ამბობენ ამას
  - მოუსმინეთ, რას არ ამბობენ
- **გახდით თქვენი მკითხველის ყურები და თვალები; დასვით ის შეკითხვები, რომლებზეც მათ აინტერესებთ პასუხის მიღება**
- **მოსმენით დაგეღალოს ყურები და სიარულით გაგეცვითოს ფეხსაცმელი**

## XXXX სადისკუსიო დრო

შეკითხვები და მაგალითები

### სასარგებლო ლინკები:

- IWPR Staff Development pages on editing process:  
<http://www.iwpr.net/development.html>
- IJN: Ten Tips for a Better Interview  
[http://www.ijnet.org/Training\\_Materials/Journalism\\_Basics/Ten\\_Tips\\_for\\_a\\_Better\\_Interview.html](http://www.ijnet.org/Training_Materials/Journalism_Basics/Ten_Tips_for_a_Better_Interview.html)
- IJN: Interviewing Principles and Strategies  
[http://www.ijnet.org/Training\\_Materials/Journalism\\_Basics/Interviewing\\_Principles\\_and\\_Strategies.html](http://www.ijnet.org/Training_Materials/Journalism_Basics/Interviewing_Principles_and_Strategies.html)
- The Poynter Institute: "Who Said That?" Guidelines for Evaluating Sources  
[http://www.poynter.org/dj/tips/ethics/et\\_sourceguide.htm](http://www.poynter.org/dj/tips/ethics/et_sourceguide.htm)